

## განმარტებითი ბარათი

**„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“**

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018 წლის 20 ივლისის №ნ-22 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ბრძანების პროექტზე**

"ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018 წლის 20 ივლისის №ნ-22 ბრძანებაში (შემდგომ - ბრძანება) ცვლილება განპირობებულია იმით, რომ სამსახური ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური და გამოცდილი კადრების მოზიდვაზე ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის პოზიციაზე. ასევე, დღეს არსებული რედაქცია ფინანსური ანგარიშგების, აუდიტის სფეროში მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილებისა და ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილების სახით, არ შეესაბამება მიმდინარე ეტაპზე სამსახურის წინაშე არსებულ გამოწვევებს. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების, აუდიტის სფეროში მუშაობის არანაკლებ 7 -წლიანი გამოცდილების მოთხოვნა, რომელსაც ასევე გააჩნია ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 4-წლიანი გამოცდილება, უზრუნველყოფს აღნიშნული პოზიციისთვის შესაბამისი პროფესიული კომპეტენციის მქონე პირის შერჩევას და ხელს შეუწყობს სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ეფექტიან და პროფესიონალურ მართვას.

პროექტით გათვალისწინებული ცვლილება ასევე უკავშირდება ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტის ფარგლებში, საჯარო ბუღალტერთა ამერიკის ინსტიტუტის (AICPA) სერტიფიკატის ფლობის საკითხს. ვინაიდან გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პოზიციის ფუნქციები და საქმიანობის სპეციფიკა ძირითადად დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემის ზედამხედველობასთან, მეთოდოლოგიურ საკითხებთან და ადგილობრივი მარეგულირებელი მოთხოვნების შესრულებასთან, რაც პირდაპირ არ არის დამოკიდებული AICPA-ის პროფესიული სერტიფიკატის ფლობასთან, მიზანშეწონილად ჩაითვალა აღნიშნული ამოღებულ იქნას დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან. სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის საქმიანობისთვის უფრო რელევანტურია სერტიფიცირებული ფინანსური ანალიტიკოსის (CFA) სერტიფიკატის ფლობა, ვინაიდან CFA წარმოადგენს მსოფლიოში ფართოდ აღიარებულ პროფესიულ კვალიფიკაციას, რომელიც მიუთითებს ფინანსური ანგარიშგების სფეროში საერთაშორისო სტანდარტების ცოდნაზე და პროფესიული საქმიანობის მაღალ ხარისხზე.

ცვლილება ასევე უკავშირდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებას. კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით საჯარო სამსახურში მიიღება საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე.

ამავე კანონის მიზნებისთვის, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, რომლის სტატუსი განსხვავდება პროფესიული საჯარო მოხელის სტატუსისგან და რომლის საქმიანობა უკავშირდება საჯარო დაწესებულების მართვის, ორგანიზაციული და ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებას კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა კანონმდებლობით პირდაპირ არის განსაზღვრული იმ თანამდებობად, რომლის დასაკავებლად პირი მიიღება ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისად, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმება წარმოადგენს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამის გადაწყვეტილებას და ცვლილება ემსახურება აღნიშნული საკითხის მოწესრიგებას.

პროექტით გათვალისწინებულია ასევე „ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №5-6 ბრძანებისა და „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების მომზადების, წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №5-6 ბრძანების სათაურებში შესულ ცვლილებასთან დაკავშირებული თანმდევი ცვლილება.

სახელმწიფოსათვის აღნიშნული პროექტი არ გამოიწვევს ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოშობას და ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე გავლენას არ იქონიებს.

პროექტის ავტორია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური.